საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით
დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 099/19

ადვოკატი რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ს. (ს.) ჯ. სიითი N

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. (ს.) ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 29 ივლისს ეთიკის კომისიას განცხადებით მომართა შ. გ.-მა ადვოკატ ს. (ს.) ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.2 საჩივრის ავტორი 2016 წლის მაისის თვეში ადვოკატ ს. ჯ.-ს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე, რაც ეხებოდა სტომატოლოგიური მომსახურების მიღების შედეგად საჩივრის ავტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. შეთანხმების შესაბამისად, შ. გ.-მა ადვოკატს იურიდიული მომსახურების დაწყებამდე ჰონორარის სახით გადაურიცხა 1000 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს გადასცა ერთადერთი დოკუმენტი - ჯანდაცვის სამინისტროს დასკვნა. აღნიშნული დასკვნით

დგინდებოდა სტომატოლოგების მიერ კბილის არასწორი მკურნალობის შედეგად მიყენებული ზიანი, რის საფუძველზეც ექიმებს დროებით ჩამოერთვათ მუშაობის უფლება.

1.3 ადვოკატმა ს. ჯ.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ სასამართლოს გზით მის საქმეზე 6000 ლარის ანაზღაურებას მოითხოვდა და შესაბამისად, სარჩელის წარდგენისთვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი იქნებოდა 200 ლარი, რაც შ. გ.-მა ადვოკატს მოთხოვნისთანავე ხელზე გადასცა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰკითხა, თუ როგორ გამოთვალა მიყენებული ზიანის ოდენობა 6000 ლარის ფარგლებში, რაზეც ადვოკატმა უპასუხა - „ამაზე ცუდი საქმეებიც მომიგია, და როგორ აგაღებინებ ამ თანხას ჩემი საიდუმლოა“. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

1.4 სასამართლოში საქმეზე დართვის მიზნით, ადვოკატმა ს. ჯ.-მ საჩივრის ავტორს მოსთხოვა ხელფასის ცნობა, რაზეც შ. გ.-მა განუმარტა, რომ ის ის ვერ შეძლებდა სამსახურიდან ასეთი ცნობის წარდგენას, რადგან მუშაობდა სილამაზის სალონში და არ ჰქონდა ფიქსირებული შემოსავალი; ამასთან, საშემოსავლოს სახით ყოველთვიურად იხდიდა 50 ლარს. ადვოკატმა უთხრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ცნობას ვერ გადასცემდა, საშემოსავლო გადასახადის გადახდის დამდასტურებელი ცნობა გაემზადებინა და გადაეცა მისთვის.

1.5 ადვოკატმა შ. გ.-ს, აგრეთვე, სთხოვა გაემზადებინა ცნობა მისი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე იმ პერიოდისათვის, როდესაც ექიმების მიერ მიადგა ზიანი, რაზეც საჩივრის ავტორმა განუმარტა, რომ მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ის ახერხებდა სამსახურში ყოფნას; თუმცა, თხოვნის შემდგომ აღნიშნულიც გაამზადა.

1.6 მხარეთა შორის შეთანხმებიდან სამი კვირის შემდეგ, საჩივრის ავტორი ადვოკატ ს. ჯ.-ს დაუკავშირდა და მოიკითხა საქმის მდგომარეობა. ადვოკატმა შ. გ.-ს განუმარტა, რომ სასამართლოში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო საქმისწარმოების პროცესი შეჩერებული იყო და რაიმე სიახლის არსებობის შემთხვევაში შეატყობინებდა, მათ შორის რომელ მოსამართლეს დაეწერებოდა საქმე. ორი თვის გასვლის შემდეგ, ადვოკატი თავად დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და სთხოვა გარკვეული რაოდენობის თანხა ესესხებინა მისთვის, რადგანაც ძალიან სჭირდებოდა „ავტომობილების განბაჟებისთვის“, ამასთან განუმარტა, რომ „მე შენს საქმეებს ჯერ ვერ მივხედავ 1000 ლარის გამო, ჩემს საქმეებს უნდა მივხედოო“. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ს. ჯ.-ს 2016 წლის ზაფხულის თვეში სესხის სახით გადასცა 800 ლარი, 40 ევრო და 950 დოლარი.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, სესხის სახით თანხების გადაცემიდან რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ ის ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა ის ხშირად არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს; დაკავშირების შემთხვევაში კი მოუცლელობას, სხვა საქმეების გამო დროის უქონლობას იმიზეზებდა და ტელეფონს თიშავდა.

1.8 ადვოკატმა ს. ჯ.-მ საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ მოსამართლეებს საქმეები რიგითობის მიხედვით ეწერებოდათ და მისი საქმისწარმოება დაწყებული არ იყო, რის შემდგომაც საჩივრის ავტორმა სასამართლოს მეშვეობით შეიტყო, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი 2016 წლის 06 დეკემბერს ჰქონდა წარდგენილი და მანამდე

სასამართლოსთვის არ მიუმართავს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰკითხა, თუ რატომ არ დაიწყო მისი საქმისწარმოება დროულად, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, „ვადები არ აქვს ამ საქმეს, მე ვიცი რასაც ვაკეთებ“.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ს. ჯ.-მ სარჩელში მიუთითა არასწორი ინფორმაცია, თითქოს შ. გ.-მა მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ ზიანის მიყენების შემდეგ, მიმართა გორში მდებარე სხვა სტომატოლოგიურ კლინიკას მკურნალობისთვის, რისთვისაც სტომატოლოგს 750 ლარი გადაუხადა. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა ს. ჯ.-მ განუმარტა, რომ ამ ფაქტზე რაიმე მტკიცებულების დართვა საჭირო არ იყო და მოგვიანებით შეიძლებოდა მტკიცებულების შედგენა. საჩივრის ავტორმა განუცხადა ადვოკატს, რომ ის ყალბ მტკიცებულებას სასამართლოს ვერ წარუდგენდა, რაზედაც ადვოკატმა უპასუხა, „არაუშავს, 750 ლარის დამადასტურებელ საბუთს მე თვითონ გავაკეთებ“. ამასთან, ადვოკატმა სარჩელს ცნობის სახით დაურთო დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იყო, რომ შ. გ.-ის ყოველთვიურ შემოსავალს შეადგენდა 700 ლარი, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, აგრეთვე, არ შეესაბამება სიმართლეს.

1.10 2017 წლის 16 მაისს, სასამართლო სხდომის გამართვამდე ერთი დღით ადრე, საჩივრის ავტორს დაუკავშირდა ადვოკატი ს. ჯ. და აცნობა, რომ ის სასამართლო სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო გორში სხვა საქმესთან დაკავშირებით, რომელიც იყო მნიშვნელოვანი, ვერ გადადებდა, რა საფუძვლითაც, შ. გ.-ს უნდა ეშუამდგომლა მოსამართლის წინაშე სხდომის გადადების თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე მან განუმარტა მოსამართლეს ზემოაღნიშნული საფუძვლით გადაედო სხდომა, თუმცა მოსამართლემ განაცხადა, რომ ადვოკატის აღნიშნული მიზეზით გამოუცხადებლობა არ იყო სხდომის გადადების საფუძველი. საჩივრის ავტორმა მოცემულ სასამართლო სხდომაზე შეიტყო, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს სარჩელში არასწორად ჰქონდა მითითებული მოწინააღმდეგე მხარეთა მისამართი, კერძოდ, ადვოკატს საჩივრის ავტორისგან ჰქონდა დეტალური ინფორმაცია ექიმების ვინაობის და მათი სამუშაო ადგილის შესახებ და შესაბამისად, მას ცალ-ცალკე უნდა მიეთითებინა თითოეული ექიმის სამუშაო ადგილის მისამართი, თუმცა ორივე ექიმის მისამართად მიუთითა ერთი მისამართი, რაც სასამართლო სხდომის გადადების საფუძველი გახდა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ს. ჯ. მეორე სასამართლო სხდომაზე წარმოადგენდა მის ინტერესებს, რა დროსაც მოსამართლემ მიუთითა, რომ სარჩელის წარდგენა დაგვიანებული იყო, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ს. ჯ.-მ განაცხადა, რომ სარჩელის დროულად წარუდგენლობის მიზეზი ცნობის მოძიებას და საქმეზე დართვას უკავშირდებოდა. კერძოდ, მან განმარტა, რომ შ. გ.-მა კლინიკის სამედიცინო პერსონალის მიერ მიყენებული ზიანის შემდგომ მიმართა სხვა სტომატოლოგიურ კლინიკას, სადაც მკურნალობის ღირებულებამ 750 ლარი შეადგინა და აღნიშნულის დამადასტურებელი ცნობა უნდა წარედგინა. მოცემული გარემოება გაითვალისწინა მოსამართლემ და განსაზღვრა დამატებითი ვადა ცნობის წარდგენისათვის, თუმცა აღნიშნული ცნობა ადვოკატს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნულის შემდგომ, მან თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ეწერა, რომ სარჩელში მითითებული თანხა 6000 ლარი არა ერთიანად, არამედ თითოეულისგან ცალ-ცალკე უნდა მოთხოვნილიყო მოსარჩელის მიერ. მოცემულ საქმეზე საჩივრის ავტორს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 200 ლარიდან 180 ლარი, რომელიც კვლავ გადასცა ადვოკატ ს. ჯ.-ს, რადგანაც მან განუმარტა, რომ განმეორებით მიმართავდა სასამართლოს სარჩელით, სადაც „750 ლარის გადახდის თაობაზე ცნობას“ აღარ მიუთითებდა.

1.13 საჩივრის ავტორი რამდენიმე კვირა ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, რის შემდგომაც, მან თავად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საიდანაც მიიღო ინფორმაცია, რომ 2018 წლის აგვისტოს თვეში განმეორებით წარადგინა ადვოკატმა ს. ჯ.-მ სარჩელი სასამართლოში. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულის შემდეგ ის კვლავ ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, რის შემდგომაც შ. გ.-მა ადვოკატის წინააღმდეგ მიმართა საგამოძიებო ორგანოს.

1.14 საჩივრის ავტორისთვის ადვოკატს მისთვის უნდა დაებრუნებინა საქმის მასალები, თუმცა ადვოკატმა ს. ჯ.-მ პროკურატურას განუცხადა, რომ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მას არ ჰქონდა, რადგან „ყველა საბუთი გადაყარა“.

1.15 საჩივრის ავტორს ადვოკატმა ს. ჯ.-მ არ დაუბრუნა ჰონორარი და სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული თანხა, ამასთან სესხის სახით გადაცემული თანხებიდან ადვოკატს მისთვის დასაბურნებელი აქვს 950 დოლარი.

1.16 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, შ. გ.-მა მას იურიდიული მომსახურების მიღებისათვის მიმართა 2016 წლის მაისში, რაც ეხებოდა სტომატოლოგიური კლინიკის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. 2016 წლის 27 მაისს მათ შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. შეთანხმების შესაბამისად, შ. გ.-მა ადვოკატს ანგარიშზე ჩაურიცხა ჰონორარი 1000 ლარი, რაც მოიცავდა სასამართლოს სამივე ინსტანციაში საქმის წარმოებას. ადვოკატის განცხადებით, „ის ახლობლურად და მეზობლურად დაეხმარა და მისი შრომა შეაფასა ამდენად“. ადვოკატს გარდა ჰონორარისა საჩივრის ავტორისგან რაიმე სახის სესხის თანხა არ მიუღია. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ გადახდილი ჰონორარი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, გაფორმებული ხელშეკრულების ასლი გადასცა საჩივრის ავტორს, დედანი თავად დაიტოვა, თუმცა არ შეუნახავს, რადგან „მაკუტალურას“ - კლიენტების საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს არ ინახავს. ადვოკატი განმარტავს: „ჩემთან არსებულ დედნებს, რომ გავექცევი (კლიენტს) - ვანადგურებ“. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორმა ვერ მოიძია ან არ შეინახა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება „მისი პრობლემა არ არის

და ნამდვილად არ აინტერესებს რატომ დაკარგა“. ადვოკატის განცხადებით, შ. გ.-ს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი საქმის მასალების გამოთხოვის მიზნით.

2.3 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორმა მას მიაწოდა ინფორმაცია სტომოტალოგიური მომსახურების მიღების შედეგად მიყენებულ ზიანზე, მათ შორის უთხრა, რომ დაზიანებულ კბილზე სხვაგან იმკურნალა, რის ხარჯმაც 750 ლარი შეადგინა, ამასთან, საჩივრის ავტორმა უთხრა, რომ სილამაზის სალონში მუშაობდა და საშემოსავლო გადასახადის სახით ყოველთვიურად იხდიდა 50 ლარს. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, მან გამოიანგარიშა შ. გ.-ისთვის მიყენებულმა ზიანის ოდენობა. კერძოდ, ზიანის ოდენობას მოიცავდა დაზიანებულ კბილზე განმეორებით მკურნალობის ხარჯი - 750 ლარი, კბილის დაბჟენის საფასური - 185 ლარი და „დამატებით 25 ლარი, ჯამში, სადღაც 1000 ლარამდე“, აგრეთვე, საშემოსავლოს გადასახადს - 50 ლარს, ამასთან, მორალური ზიანიც გაითვალისწინა, რის შედეგადაც ზაინის ოდენობამ 6000 ლარი შეადგინა.

2.4 ადვოკატმა სასამართლოში წარდგენილ სარჩელს დაურთო შ. გ.-ის სახელფასო ცნობა, რის მიხედვითაც საჩივრის ავტორის ყოველთვიურ ხელფასს შეადგენდა 700 ლარი. ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუქცევია ყურადღება ვის მიერ იყო გაცემული აღნიშნული ცნობა ან თუ იყო ის ხელმოწერილი, რადგან ის იყო „სამუშაო ცნობა“, რომელიც საჩივრის ავტორმა თავად გადასცა მას. ადვოკატმა სხდომაზე აღნიშნულის თაობაზე განმარტა: „რაღად მინდოდა მაგის გაცნობა...“, „...აღარც ვუყურებ მაგას... მოიტანა, რაც გამოადგება, გამოადგება, რამდენად რეალური იყო ან არარეალური ამაზე ყურადღება მოსამართლემ უნდა მიაქციოს“.

2.5 ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მან შ. გ.-ის სახელით სასამართლოს სარჩელით მიმართა დაახლოებით, 2016 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში, ვინაიდან, ის ელოდებოდა შ. გ.-ისგან კბილის განმეორებით მკურნალობის ხარჯის თაობაზე ცნობის მიღებას, სარჩელზე დართვის მიზნით და ამიტომ შეიტანა სარჩელი დაგვიანებით სასამართლოში. ადვოკატის განცხადებით, სხდომა დეკემბრამდე არ ჩაინიშნა და საქმის განხილვა გაჭიანურდა, ვინაიდან, მოპასუხე მხარემ (სტომატოლოგიურმა კლინიკამ) შეიცვალა სახელი და მათ სარჩელი არ ბარდებოდათ; მოგვიანებით კი ჩაბარდა და მოპასუხე მხარემ წარმოადგინა შესაგებელი.

2.6 ადვოკატის განცხადებით, შ. გ.-ის ინტერესი იყო, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სტომატოლოგიური კლინიკისგან. ადვოკატს სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განუცხადა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი შ. გ.-ისათვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება, (750 ლარიანი ქვითარი). ადვოკატის განცხადებით, შეპირების მიუხედავად, საჩივრის ავტორს მისთვის ზემოაღნიშნული ცნობა არ მიუწოდებია, რის გამოც, ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეთანხმებით, გაიხმო სარჩელი სასამართლოდან და შესაბამისად, შ. გ.-ს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა - 180 ლარი.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მან შ. გ.-ს არაერთხელ განუმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცნობის წარდგენის გარეშე სარჩელი არ იქნებოდა პერსპექტიული, თხოვნის შემდეგ ადვოკატმა კვლავაც მიმართა სასამართლოს საჩივრის ავტორის სახელით. შ. გ.

ადვოკატს ჰპირდებოდა, რომ ნაცნობის დახმარებით, იგი აუცილებლად მოიპოვებდა აღნიშნულ ცნობას.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცნობის წარმოუდგენლობის გამო, სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. განჩინება ჩაბარდა შ. გ.-ს. ადვოკატის განმარტებით, იგი არ დაპირებია შ. გ.-ს, რომ ცნობის გარეშე შეძლებდა საქმის მოგვარებას, ცნობის მოპოვებაზე კი უნდა ეზრუნა თავად საჩივრის ავტორს.

2.9 რაც შეეხება შ. გ.-ის საქმეზე სასამართლო სხდომაზე გაუმოუცხადებლობას, ადვოკატის განმარტებით, ის უნდა დასწრებოდა სხვა სასამართლო სხდომას, აღნიშნულის დასადასტურებლად კი ცნობის სასამართლოსთვის წარდგენის საჭიროება არ არსებობდა, რადგან სხდომა სხვა საფუძვლით (საქმეში არ არსებობდა 750 ლარიანი ქვითარი) ისედაც გადაიდო. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სხდომა მაინც გაიმართებოდა ან დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვიდოდა, ის წარუდგენდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე ცნობას, რითიც „გაბათილდებოდა ის სხდომა და აღნიშნულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება“.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ საქმისწარმოების დაწყებიდან, დაახლოებით 2-3 წლის შემდეგ შ. გ.-მა მისი ინიციატივით შეწყვიტა მასთან კომუნიკაცია. ადვოკატის განცხადებით, მან მიღებული ჰონორარის ფარგლებში, სრულად გაუწია საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურება. ის საჩივრის ავტორისგან ელოდებოდა 750 ლარიანი ქვითრის გადაცემას, რასაც უნდა დაფუძნებოდა სასარჩელო მოთხოვნა. ადვოკატის განმარტებით, ასევე, გასათვალისწინებელია მანქანით გადაადგილებისათვის აუცილებელი საწვავის ხარჯი, რომელიც შედიოდა ჰონორარის სახით განსაზღვრულ 1000 ლარში. კომისიის შეკითხვაზე, აწარმოებდა თუ არა ადვოკატი ხარჯთაღრიცხვას კლიენტის საქმეზე, ადვოკატმა უარყოფითი პასუხი გასცა და განმარტა, რომ ის „ვერ დაუკონკრეტებს კლიენტს რას აკეთებს და როგორ აკეთებს... 1000 ლარი მოიცავდა ყველაფერს“. ადვოკატის განცხადებით, მხოლოდ ბაჟი იყო ცალკე თანხა, დანარჩენი ყველაფერი რაც იქნებოდა საჭირო, შედიოდა ამ 1000 ლარში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2020 წლის 27 ივლისს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურებისა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5) და საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარისა დაბრუნების ვალდებულების (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2016 წლის მაისის თვეში შ. გ. და ადვოკატი ს. ჯ. შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების თაობაზე, რაც ეხებოდა სტომატოლოგიური კლინიკის მიერ შ. გ.-ის ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.1.2 ადვოკატმა ს. ჯ.-მ შ. გ.-ისგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით მიიღო 1000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 27 მაისის სალაროს შემოსავლის ორდერი;

4.1.3 ადვოკატ ს. ჯ.-ის, როგორც შ. გ.-ის წარმოამდგენლის მონაწილეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ელექტრონული ბაზის მონაცემებით რეგისტრირებულია შემდეგი საქმეები:

1. საქმე N--- მოპასუხე შპს ,,ე.“ მ. ბ., ნ. მ.. 2017 წლის 26 დეკემბერს განჩინებით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული.
2. საქმე 2/13067-18 მოპასუხე შპს „ე.-დ.-ს.“, მ. ბ., ნ. მ.. 2018 წლის 07 მაისის განჩნებით სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული.
3. საქმე 2/25443-18 მოპასუხე მ. ბ., ნ. მ.. 2018 წლის 04 სექტემბრის განჩინებით სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი პოლიციას 15.05.2019;

4.1.4 ადვოკატმა სარჩელს სახელფასო ცნობა ისე დაურთო, რომ მას არ გაცნობია, მათ შორის არ შეუმოწმებია ცნობა იყო თუ არა ხელმოწერილი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა-განმარტება: პარ. 2.4;

სახელფასო ცნობა (ხელმოწერის გარეშე) 10.11.2016;

4.1.5 ადვოკატმა საჩივრის ავტორს სასამართლო სხდომის წინა დღეს აცნობა, რომ ის ვერ შეძლებდა სხდომაზე გამოცხადებას, იმის გამო, რომ სხვა პროცესზე ახორციელებდა წარმომადგენლობას და აღნიშნულზე საჩივრის ავტორს თავად მიეწოდებინა მოსამართლისთვის ინფორმაცია. ადვოკატს სასამართლოსთვის არ წარუდგენია წერილობითი შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე და უშუალოდ საჩივრის ავტორს სთხოვა ზეპირი ფორმით გადაეცა მოსამართლისთვის აღნიშნული ფაქტი და ეშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

4.1.6 ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დედანი და საქმის მასალები კლიენტისთვის არ გადაუცია, რადგან არ შეუნახავს; ის კლიენტების საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს - „მაკუტალურას“ არ ინახავს, ადვოკატი უთითებს: „ჩემთან არსებულ დედნებს, რომ გავექცევი (კლიენტს) - ვანადგურებ“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატი ახსნა-განმარტება პარ. 2.2

4.2 სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა, ადვოკატმა თავისი ინიციატივით მოიგონა და მიუთითა სარჩელში არასწორი ფაქტი, თითქოს საჩივრის ავტორმა გორის სტომატოლოგიურ კლინიკაში გაიარა მკურნალობა, თუ საჩივრის ავტორმა მიაწოდა ცრუ ფაქტის შესახებ ინფორმაცია და მასთან შეთანხმებით მოხდა შეცდომაში შემყვანი გარემოების მითითება სარჩელში? საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არ მიუმართავს გორის სტომატოლოგიური კლინიკისათვის მკურნალობის მიზნით. ეს თავად ადვოკატმა მოიგონა, რომელმაც ის დააჯერა, რომ „ამგვარ ცნობას“ გააკეთებდა მისი ნაცნობის მეშვეობით და წარადგენდა სასამართლოში მათი მოთხოვნის გასამყარებლად. ამასთან, საჩივრის ავტორის მითითებით, ის არ იყო გაცნობილი სარჩელს და სარჩელის შეტანის დროისათვის არ იცოდა იმის შესახებ, რომ ადვოკატმა არასწორი ინფორმაცია მიუთითა სარჩელში. ადვოკატი, მომჩავნისგან განსხვავებით, უთითებს, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ, თავად კლიენტმა უთხრა და მისივე თანხმობით მიუთითა ეს ფაქტი სარჩელში. ადვოკატის განმარტებით, მან არ იცოდა, რომ ეს არასწორი ფაქტი იყო. ადვოკატის განმარტებით, ის ელოდებოდა შ. გ.-ისგან კბილის მკურნალობის დამადასტურებელი ქვითრის გადაცემას, რომელიც მტკიცებულების სახით უნდა წარედგინა სასამართლოსთვის.

კომისიის შეფასებით, საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, თითოეულმა მხარემ, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით უნდა დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოებები.

საჩივრის ავტორის მიერ გორის სტომატოლოგიურ კლინიკაში მკურნალობის გავლის თაობაზე ახსნა-განმარტება წარმოადგენს მტკიცებულებას; თუმცა, კომისია აქვე განმარტავს, რომ მხოლოდ მხარეთა და არა მათი წარმომადგენლების/ადვოკატების მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება წარმოადგენს მტკიცებულებას.

არასწორი ფაქტის შესახებ ახსნა-განმარტების გაკეთება წარმოადგენს ყალბ მტკიცებულებას (იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.02.2015 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №133/13, 6.20). თუ ერთ-ერთი მხარე სადავოდ ხდის მტკიცებულების ნამდვილობას, მეორე მხარემ უნდა ასაბუთოს, რომ ეს მტკიცებულება არ არის ყალბი. შესაბამისად, ადვოკატს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია, მისი შეცნობით, არ წარმოადგენდა ყალბ მტკიცებულებას და მან ეს ინფორმაცია თავად კლიენტისაგან მიიღო. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით (სარჩელით) დგინდება, რომ სადავო ფაქტის შესახებ ინფორმაცია მითითებული იყო სარჩელში, რომელსაც ხელს აწერს არა მხოლოდ ადვოკატი, არამედ, ასევე საჩივრის ავტორი - შ. გ.. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმ

ფაქტთან დაკავშირებით, რომ მან სარჩელში არასწორი ფაქტის მითითების თაობაზე არ იცოდა, მას ეს ინფორმაცია ადვოკატისათვის არ მიუწოდებია და ადვოკატმა ეს ინფორმაცია თავად მოიგონა. საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა, უნდა წარმოედგინა სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ არასწორი ფაქტის შესახებ სარჩელში მითითება, სწორედ ადვოკატის ინიციატივა და მისი სტრატეგიის ნაწილი იყო. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სარჩელი, რომელიც ხელმოწერილი იყო საჩივრის ავტორის მიერ, წარმოადგენს უფრო სარწმუნო მტკიცებულებას იმისა, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას თავიდანვე ფლობდა საჩივრის ავტორი და სარჩელზე ხელმოწერით ის დაეთანხმა მასში მითითებული ფაქტების სისწორეს. ადვოკატს კი ამ ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება არ გააჩნია. შესაბამისად, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან, წინასწარი შეცნობით, სარჩელში არასწორი ინფორმაციის მითითების - ყალბი მტკიცებულების შექმნის ფაქტი.

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა მიღებული ჰონორარის ფარგლებში, სრულად განხორციელდა თუ არა საადვოკატო მომსახურება.

ადვოკატი განმარტავს, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარი სახეზე არ არის, თუმცა თავად ადასტურებს, რომ შ. გ.-ისგან მიღებული ჰონორარი მოიცავდა სამივე ინსტანციას და საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დაწყების ეტაპზევე შეწყდა საადვოკატო მომსახურების განხორციელება.

ადვოკატმა შ. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლიდან 2018 წლის პერიოდში სამჯერ წარადგინა სარჩელი. 2016 წელს წარდგენილი სარჩელი გამოხმობილ იქნა კლიენტთან შეთანხმების შემდეგ, მომდევნო სარჩელები სასამართლოს მიერ არ იქნა წარმოებაში მიღებული. შედეგად, საქმე არსებითად არ იქნა განხილული და მხარეთა შორის წარმომადგენლობა დასრულდა.

შედეგად, კომისია ადგენს, რომ ადვოკატის მიერ მიღებული ჰონორარის ფარგლებში საადვოკატო მომსახურება შეწყდა ვადამდე - პირველ ინსტანციაში საქმის დაწყების ეტაპზე.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ დარღვეულია კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

> ადვოკატმა ... კვალიფიციურად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5)

6.2 ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები შეასრულოს. საადვოკატო მომსახურების დაწყება შეუძლებელია კლიენტის საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გარეშე, მათ შორის მნიშვნელოვანია კლიენტის საქმის მასალების გაცნობის ეტაპი, რაც საქმის წარმართვის, სამომავლო სტრატეგიის დაგემგვის შემდგომი საფუძველია. საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველი პირი ადვოკატს სწორედ მისი პროფესიული ცოდნის გამო მიმართავს, ანდობს საქმეს, რომელიც სურს რომ კვალიფიციურად იქნას წარმართული.

6.3 „ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში… ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №066/10).

6.4 ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით, საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების მოძიება შესაძლოა კლიენტმა უზრუნველყოს, არ ათავისუფლებს ადვოკატს მისი პროფესიული მოვალეობისგან, გულდასმით გაეცნოს საქმეზე დასართავ დოკუმენტაციას, მით უფრო ისეთი არსებითი სახის მტკიცებულებებს, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კლიენტის საქმის შედეგზე. ადვოკატი ადასტურებს, რომ სწორედ მისი მითითება შეასრულა შ. გ.-მა, შეადგინა და გადასცა მას „სახელფასო ცნობა“, თუმცა რამდენად სწორად იყო ის შევსებული, შეიცავდა თუ არა საქმისთვის სასარგებლო ინფორმაციას და რაც არსებითად მნიშვნელოვანია - ხელმოწერილი იყო თუ არა, როგორც ადვოკატი განმარტავს - მას არ შეუმოწმებია, რადგან არ მიიჩნია ეს მისი ვალდებულების ნაწილად - „რაღად მინდოდა მაგის გაცნობა“ (იხ.პარ.2.5). კომისიის შეფასებით, შეუძლებელია ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება ჩაითვალოს კვალიფიციურად, თუ ადვოკატი არ ეცნობა საქმის მასალებს, საქმეზე დასართავ მტკიცებულებებს და მხოლოდ „ფორმალური“ დამოკიდებულებით შემოიფარგლება. მასალების შესწავლის გარეშე საქმის სასამართლოში წარმოებამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს კლიენტის ინტერესები.

6.5 აგრეთვე, შესაფასებელია ადვოკატმა განზრახ გააჭიანურა თუ არა საქმის წარმოების დაწყება სასამართლოში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია და მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ კლიენტი უზრუნველყოფილი იყოს სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულებით. ადვოკატი ადასტურებს, რომ სასამართლოს სარჩელით რამდენიმე თვის დაგვიანებით მიმართა, რადგან ელოდებოდა შ. გ.-ისგან კონკრეტულ დოკუმენტს - მიყენებული ზიანის 750 ლარის დამადასტურებელ ცნობას გორის სტომატოლოგიური კლინიკიდან (იხ.პარ.2.6)..

6.6 მხარეების მიერ წარმოდენილი პოზიციებით დასტურდება, რომ სასამართლოსთვის მიმართვა და სარჩელების წარდგენა, მათ შორის გახმობა შეთანხმებულად ხდებოდა. ამასთან, მომჩივანის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის ინფორმირებული იყო სარჩელში „750 ლარის

ხარჯის“ მითითების თაობაზე. შესაბამისად, საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ მომჩივანის, როგორც კლიენტის საწინააღმდეგოდ აისახა სარჩელში კონკრეტული გარემოებები და ადვოკატის ბრალეულობით გაჭიანურდა საქმის წარმოების დაწყება.

6.7 შესაბამისად, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დგინდება, რომ ადვოკატმა ს. ჯ.-მ სრულად არ შეასრულა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობები, არ შეამოწმა საქმეზე დასართავი დოკუმენტების ავთენტურობა, სისწორე, არ გაეცნო საქმის მასალებს სრულად, რითაც ადვოკატმა დაარღვია კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება.

6.8 განხილვის კოლეგიის შეფასებით, არასაპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობით, ადვოკატმა ს. ჯ.-მ დაარღვია კლიენტის უწყვეტი დაცვით უზრუნველყოფის ეთიკური ვალდებულება.

> ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7)

6.9 კომისიის შეფასებით, ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლის მიზანია უზრუნველყოს კლიენტის უწყვეტი დაცვა. ეს ნორმა არ ვრცელდება მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტაზე. ამ ნორმით გაცილებით მეტი სიკეთეა დაცული - კლიენტის უწყვეტი დაცვის უფლებით უზრუნველყოფა და ის ვრცელდება საქმის მიმდინარეობის პროცესზეც.

6.10 კომისიის შეფასებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორი დაცვის უფლების გარეშე დატოვა. კერძოდ, ადვოკატმა სასამართლო სხდომის წინა დღეს უთხრა კლიენტს, რომ ის უნდა დასწრებოდა „სხვა სასამართლო სხდომას“, რის თაობაზეც შ. გ.-ს უთხრა თავად მიეწოდებინა მოსამართლისთვის ინფორმაცია. მხარეთა ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატს სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია სასამართლოსათვის და არც შესაბამისი მტკიცებულება წარუდგენია. შესაბამისად, სასამართლომ ადვოკატის გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია და დაიწყო საქმის განხილვა. თუმცა, შემდგომ პროცესი სხვა საფუძვლით გადაიდო. ადვოკატი ადასტურებს, რომ მას წინსწრებით, საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია და მიიჩნევს, რომ არც აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა იყო საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ სხდომა არ გადაიდებოდა, შემდგომში წარუდგენდა სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ ცნობას, რითიც „გაბათილდებოდა“ წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმეზე უარის თქმის დროს უნდა იმოქმედოს წინდახედულად, მათ შორის შეამციროს ყველა ის რისკი, რაც ზიანის მომტანი იქნება კლინტის ინტერესებისთვის. ადვოკატს სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ინფორმაცია კლიენტისთვის შესაძლებლობისთანავე უნდა მიეწოდებინა, გონივრულ ვადაში, ამასთან, წარედგინა სასამართლოსთვის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე ცნობა, იმისათვის, რომ მისი დაუსწრებლობის გამო, კლიენტის ინტერესები არ დაზარალებულიყო.

6.11 შედეგად, დასტურდება, რომ ადვოკატმა დაცვის უფლების გარეშე დატოვა საჩივრის ავტორი, რასაც შესაძლოა, მნიშნველოვანი ზიანი მიეყენებინა მისი კლიენტის ინტერესებისთვის, რომ არა სხდომის სხვა საფუძვლით გადადება.

6.12 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ დარღვეულია გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.13 ეთიკის კომისია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ კლიენტის ან მესამე პირის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული კლიენტის საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული ან მის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. შესაბამისად, ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა კლიენტს არ შეუზღუდოს საქმის მასალების ხელმისაწვდომობა. ხოლო, საადვოკატო საქმიანობის დასრულების შემთხვევაში, ადვოკატის ვალდებულებაა დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კლიენტს სრული საქმის მასალები. მით უფრო, როდესაც დოკუმენტაციების ორიგინალი ვერსიები ადვოკატთან ინახება, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის მასალების დროულად დაუბრუნებლობამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კლიენტის სამომავლო ინტერესებზე.

6.14 ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს აგრეთვე, მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნება. კლიენტი და ადვოკატი ურთიერთობის დასაწყისში თანხმდებიან იმ საფასურზე, რომლის ფარგლებშიც უნდა განახორციელოს ადვოკატმა მომსახურება. აპეკი-ის 8.15 ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა.

6.15 „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები

გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე დს-შ/17-16).

6.16 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა... აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 16.09.2016 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №038/16)

6.17 ადვოკატი ადასტურებს, რომ საჩივრის ავტორისათვის არ დაუბრუნებია მის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რადგან ის „მაკულატურას არ იტოვებს" და კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას „ანადგურებს". კომისიის შეფასებით, ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა გაუფრთხილდეს კლიენტის საქმის მასალებს და კლიენტს მიაწოდოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია; ხოლო, ურთიერთობის დასრულების შემდგომ კი სრულად დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები, რადგან ეს არის კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრება.

6.18 მხარეები ადასტურებენ, რომ მათ შორის ურთიერთობა შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაწყების ეტაპზე (როდესაც მათ სარჩელი გამოიხმეს). ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით ისიც დგინდება, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა 1000 ლარი მოიცავდა სამი ინსტანციის ფარგლებში წარმომადგენლობას. ადვოკატი ვალდებული იყო გაწეული მომსახურების პროპორციულად გამოეანგარიშებინა მიღებული ჰონორარი, გამოეკლო საქმეზე გაწეული ხარჯი და დანარჩენი ნაწილი დაებრუნებინა კლიენტისათვის. კომისიის შეფასებით, სახეზეა გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა. ადვოკატი განმარტავს, რომ მართალია საადვოკატო მომსახურება სრულად ვერ განხორციელდა, თუმცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მან მიუთითა, რომ ჰონორარი დაბრუნებას არ ექვემდებარება, რის თაობაზეც კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ ანიჭებს ადვოკატს უფლებამოსილებას უარყოს პროფესიული სტანდარტები (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება,

დისციპლინური საქმე №დს-შ/17-16). ამასთან, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თავად პროფესიული სტანდარტების საწინააღმდეგო პირობის გათვალისწინება ხელშეკრულებაში, წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

6.19 შესაბამისად, საჩივრის ავტორისათვის საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის დაუბრუნებლობით, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

6.20 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის ჯეროვანი ინფორმირების ვალდებულება:

> ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).
>
> ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის … შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.21 კოლეგია აღნიშნავს, რომ ინფორმირების ვალდებულება მოიცავს ჯეროვნად, სწორად საქმესთან დაკავშირებით კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას. საჩივრის ავტორი არ ფლობდა სწორ ინფორმაციას მის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებების, მათ შორის სარჩელის წარდგენის თაობაზე, რასაც ადვოკატი უარყოფს. კომისიის განმარტებით, კლიენტის სათანადო ინფორმირების ვალდებულების შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ადვოკატმა სარწმუნო მტკიცების სტადნარტით უნდა დაასაბუთოს, რომ წარმომადგენლობის განხორციელებისას ახდენდა კლიენტის ჯეროვან ინფორმირებას. ადვოკატმა ვერ დაადასტურა, რომ მისი კლიენტი სწორ ინფორმაციას ფლობდა მისგან საქმის მიმდინარეობის თაობაზე. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება.

6.22 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ვერ დადასტურდა ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ სასამართლოსთვის ყალბი მტკიცებულების წარდგენა/არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

> ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.3)

6.23 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ყალბი მტკიცებულების/არასწორი ფაქტის შესახებ ინფორმაციის სასამართლოსთვის მიწოდება არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს მართლმსაჯულების სისტემაში. ადვოკატმა ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, თუმცა ის არც ერთ შეთხვევაში არ უნდა გასცდეს კანონის ჩარჩოებს და წინასწარი შეცნობით, სასამართლო არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში. ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის უმნიშვნელოვანესი როლიდან გამომდინარე, მან ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონისა და პროფესიული სტანდარტების ფარგლებში. ადვოკატს, კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, ეკრძალება სასამართლოსათვის

მცდარი ინფორმაციის განზრახ წარდგენა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ სასამართლოსათვის არასწორი ფაქტის, როგორც მხარის ახსნა-განმარტების განზრახ მიწოდება წარმოადგენს უკანონო მტკიცებულების შექმნას, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განახორციელოს ადვოკატმა, თუნდაც კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან კანონიერების პრინციპი უპირატერსია.

6.24 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას, რაც უკავშირდება საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ სარჩელში მითითებული ფაქტების სისწორეს, რადგან დისციპლინურ საქმეში წარმოადგენილია სარჩელი (იხ. სარჩელი 30.08.2018), სადაც აღნიშნულია იმ ფაქტების შესახებ, რომლის სისწორესაც აყენებს ეჭვქვეშ საჩივრის ავტორი, თუმცა ამავე სარჩელზე ხელს თავად აწერს. სარჩელზე ხელმოწერით, საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო მასში მითითებული ფაქტები და ის იზიარებდა მათ სისწორეს.

6.25 შედეგად, ადვოკატის მხრიდან არ დასტურდება სასამართლოსთვის არასწორი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სასამართლოსთან კომუნიკაციის სტანდარტის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.3) დარღვევა.

6.26 განხილვის კოლეგიის შეფასებით, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით, ვერ დასტურდება ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა:

> ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას ... სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1)

6.27 „ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 07.03.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №057/10).

6.28 „კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საფრთხეს შეუქმნის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვას. მათ შორის ადვოკატი არ უნდა შევიდეს კლიენტთან ისეთი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რამაც შესაძლოა დააზიანოს კლიენტის ინტერესები... ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს კლიენტის ნდობით და არ უნდა მიაყენოს მის ინტერესებს ზიანი. კლიენტისთვის სესხის აღების მოთხოვნის წაყენება და შემდგომ ამ თანხის ადვოკატისთვის გადმოცემა არ წარმოადგენს არც კეთილსინდისიერ მოქმედებას ადვოკატის მხრიდან და არც ნდობის გაძლიერებას უწყობს ხელს ადვოკატის მიმართ“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.06.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №034/18).

6.29 მომჩივანი უთითებს, რომ საადვოკატო მომსახურების განხორციელების დროს ადვოკატმა ს. ჯ.-მ მას რამდენჯერმე გამოართვა სესხის სახით თანხები: 800 ლარი, 40 ევრო და 950 დოლარი მისი „ავტომობილების განბაჟებისთვის“.

6.30 კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტთან დაწყებული სასესხო ურთიერთობის პარალელურად ვერ იქნება უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი პროფესიული რჩევის მიღება, რადგან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე გავლენას ახდენს მათ შორის არსებული სასესხო ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, გარდა მომჩივანის განმარტებისა არ დასტურდება სესხის სახით საჩივარში აღნიშნული თანხების ადვოკატისთვის გადაცემის ფაქტი. ადვოკატი უარყოფს მოცემულ პრეტენზიას. ადვოკატისათვის სესხის სახით თანხის გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს. შ. გ.-მა ეთიკის კომისიას ვერ წარუდგინა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება.

6.31 შესაბამისად, ვინაიდან არ დასტურდება მომჩივანსა და ადვოკატს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის დარღვევა.

6.32 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის - კვალიფიციურობის, კლიენტის ინფორმირების, საქმის მასალების და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის ვალდებულების დარღვევისათვის, უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ერთად.

6.33 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.34 დისციპლინური გადაცდომისთვის ადვოკატს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ცალკე ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათან ერთად ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(4) მუხლი). ამავე დროს, დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ამასთან, „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.35 „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.36 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.37 მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ განუხორციელებელი საადვოკატო მომსახურების შედეგად საჩივრის ავტორის ინტერესების მიმართ მიყენებული ზიანი, ისევე როგორც, ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებული ზიანი. საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან ვერ მიიღო კვალიფიციური მომსახურება იმ ნაწილში, რაც საქმის მასალების სრულად გაცნობას და შემდგომ სარჩელზე დართვას ითვალისწინებდა; ამასთან, ადვოკატმა არ დააბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი, საადვოკატო მომსახურების შეთანხმებით ეთიკური ვალდებულების საწინააღდეგო პირობა მიუთითა, რაც ჰონორარის დაბრუნების შეუძლებლობას ეხება, საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა საქმის მასალები ორიგინალის სახით, რითიც მას შეეზღუდა უფლება მისი ინტერესების სასარგებლოდ რაიმე მოქმედებები განეხორციელებინა. ასეთ ვითარებაში, ზიანდება არამხოლოდ კონკრეტულ კლიენტი, არამედ ადვოკატის პროფესია. კლიენტს წარმოეშვა უნდობლობა ადვოკატების მიმართ, რადგან ადვოკატი არ მოქმედებდა პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ატყუებდა კლიენტს.

6.38 ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.39 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის შეფასებით, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. თუმცა, ამავდროულად, ადვოკატისათვის სახდელის სახით მხოლოდ გაფრთხილების შეფარდება არ იქნება ეფექტიანი და მასთან ერთად უნდა განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომლის მიზანია ადვოკატმა გააცნობიეროს კლიენტისათვის და ზოგადად, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი.

„კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20.10.20 გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 063/19).

6.40 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის

ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებასთან (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ერთად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 5, 6.2, 32.1, 34.1(ა) და 34.2(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2, 8.5, 8.6, 8.7, 8.15, 9.3 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N099/19 დადგინდეს ადვოკატ ს. (ს.) ჯ.-ის /სიითი № / მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ს. (ს.) ჯ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება და კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება
6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის - გაფრთხილების განსაზღვრის ნაწილში ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/